



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არქიდიაკონი

არქიდიაკონი (ბერძნ. archidiakon), მთავარდიაკონი, საკათედრო ეკლესიის პირველი დიაკონი, V ს-იდან რომის კათოლ. ეკლესიაში ა. ითვლებოდა ეპისკოპოსის თანაშემწედ, რ-საც ევალებოდა საეკლ. მამულებისა და ეპარქიის სამღვდელთა ბედამხედველობა და ეპარქიაში საეკლ. სასამართლო საქმეების განმგებლობა. XI-XII სს-ში ა-ის უფლებები გაიზარდა. ა-მა მიიღო ეპისკოპოსის ზოგიერთი უფლება და ითვლებოდა მაღალ საეკლ. ხელისუფლად. მართლმადიდებლურ ეკლესიაში ა. იყო ეპისკოპოსის მთავარი თანაშემწე. XV ს-იდან ა-ის უფლებები შეიკვეცა, ბოლოს კი ა-ის თანამდებობა სრულიად მოიშალა. ა-ის თანამდებობა გარკვეული ფუნქციებით შემორჩა მხოლოდ ანგლიკანურ ეკლესიასა და ზოგიერთ ევანგელიკურ ეკლესიაში. მართლმადიდებლურ ეკლესიათაგან იგი არსებობს მხოლოდ კონსტანტინოპოლის ეკლესიაში (VII ს-იდან). ქართ. ეკლესიაში ა-ის ბერძნ. წოდებას შეესატყვისება „მთავარდიაკონი“, იგი მღვდელმსახურების დროს ასრულებდა მღვდლის უფროსი თანაშემწის მოვალეობას. XII ს-ში დიდი მონასტრების მთავარდიაკვნები განაგებდნენ სასამართლო საქმეებს სამონასტრო მამულებში. შემდგომ საუკუნეებში მათ ეს ფუნქცია დაკარგეს.

ბ. ლომინაძე
